მშობლების ფსიქოლოგიური კონტროლი და მიჯაჭვულობა-განრიდების ტენდენციები გარდამავალი ასაკის მოზარდების რომანტიულ ურთიერთობებში

გახუტიშვილი მარიამი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, ასოცირებული პროფესორი
მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გახუტიშვილი, 27 ივნისი, 2016 წ.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია კავშირი მშობლების ფსიქოლოგიურ კონტროლსა და გარდამავალი ასაკის მოზარდების რომანტიულ ურთიერთობებში არსებულ მიჯაჭვულობა-განრიდების ტენდენდენციებს შორის. ბავშვზე განხორციელებულ მშობლების ფსიქოლოგიური კონტროლის მექანიზმს აქვს ხუთი განზომილება: ვერბალური ექსპრესიის შეზღუდვა, არაღიარებული გრძნობები, თავდასხმა პიროვნებაზე, ბრალეულობის ჩანერგვა, სიყვარულით მანიპულირება და მშობლის არამყარი ემოციური ქცევა. თავის მხრივ, მოზარდების რომანტიულ ურთიერთობებში მიჯაჭვულობა-განრიდების ტენდენციას გამოკვეთს მიჯაჭვულობის შფოთვისა და მიჯაჭვულობისგან თავის არიდების დონე. წარმოდგენილ კონსტრუქტებს შორის კავშირის კვლევა ქართულ კონტიგენტზე აქტუალურია, ვინაიდან მოზარდების რომანტიულ ურთიერთობებში მიჯაჭვულობა-განრიდების ტენდენციის თეორიები ახალია და ამ მიმართულებით შეფასებათა სიმწირის პრობლემა დგას. კვლევაში გამოვლინდა ისეთი საგულისხმო შედეგები, როგრიცაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია ორივე მშობლის მიერ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ კონტროლსა და მოზარდების რომანტიულ ურთიერთობებში მიჯაჭვულობის შფოთვას შორის, რაც იხსნება იმით, რომ ფსიქოლოგიური კონტროლის არსებობა წარმოშობს ინტერნალიზაციის პრობლემებს და მათ შორის, შფოთვის მაღალ დონეს. კვლევის ერთ-ერთი საგულისხმო შედეგი იყო ისიც, რომ ფსიქოლოგიური კონტროლის ის განზომილება, რომელიც სიყვარულით მანიპულირებას გულისხმობს, ანუ მშობლების მოლოდინების შეუსრულებლობის შემთხვევაში სიყვარულის განელების ტენდენციას, ორივე მშობლის შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაციით დაუკავშირდა რომანტიულ პარტნიორზე მოზარდების მიჯაჭვულობის შფოთვას. თავის მხრივ, ფსიქოლოგიური კონტროლის სიხშირის საშუალო მაჩვენებელი უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველო კოლექტივისტურ კულტურას მიკუთვნებული ქვეყანაა, სადაც ამგვარი კონტროლის მექანიზმი და მასთან, მშობლების

მოლოდინების შესრულებაზე დაფუძნებული სიყვარული, თანამედროვე კუტურულ კონტექსტშიც, დასაშვებად მიიჩნევა.

საძიებო სიტყვები: ფსიქოლოგიური კონტროლი, მოზარდები, რომანტიული ურთიერთობები, მიჯაჭვულობის შფოთვა, მიჯაჭვულობისგან თავის არიდების ტენდენცია.